

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-36/ნ

2018 წლის 27 ნოემბერი

ქ. თბილისი

**დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინათმესაკუთრეთა ცალკეული ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში სახელმწიფოს თანამონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 8<sup>1</sup> მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ლ“ ქვეპუნქტის და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2566 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ II თავის 2.1.8 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის ბრძანება №01-4/ნ - ვებგვერდი, 17.01.2020წ.*

**მუხლი 1**

დამტკიცდეს დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინათმესაკუთრეთა ცალკეული ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში სახელმწიფოს თანამონაწილეობის თანდართული წესი.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა,  
შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

**დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინათმესაკუთრეთა ცალკეული ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში სახელმწიფოს თანამონაწილეობის წესი**

1. „დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინათმესაკუთრეთა ცალკეული ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში სახელმწიფოს თანამონაწილეობის წინამდებარე წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტებსა და სხვა მუნიციპალიტეტებში შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ის საფუძველზე დევნილთა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის მუნიციპალურ პროგრამებში სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს – სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), თანამონაწილეობის წესსა და პირობებს, ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის ბრძანება №01-4/ნ - ვებგვერდი, 17.01.2020წ.*



2. ბინათმესაკუთრეთა ცალკეული ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალურ პროგრამაში სააგენტოს თანამონაწილეობა გულისხმობს ამხანაგობის მიერ წარდგენილი განაცხადის შესაბამისად, მუნიციპალური ორგანოების მიერ დაფინანსებულ პროექტში სააგენტოს თანადაფინანსების ფარგლებს. თანადაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ორგანოს მიერ დამტკიცებული აქტის შესაბამისად, ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიის – ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე.

3. სააგენტო თანადაფინანსების პროგრამაში მონაწილეობს შესაბამისი ამხანაგობის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე.

4. სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებას თან უნდა ერთოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, შესაბამისი რაიონის გამგებლის ბრძანება, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება, რომელშიც მოცემულია შესასრულებელი სამუშაოებისა და ამ სამუშაოების მუნიციპალიტეტისა და ამხანაგობის თანადაფინანსების ოდენობა და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

5. სააგენტოში შემოსული განცხადება თანდართული დოკუმენტაციით განსახილველად გადაეცემა სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტს (შემდგომში – დეპარტამენტი). დეპარტამენტი დევნილთა მონაცემთა ბაზის საფუძველზე ამოწმებს, არსებობს თუ არა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი ამხანაგობის განცხადებაში მითითებულ მისამართზე და რამდენი დევნილი ოჯახია იქ რეგისტრირებული.

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის ბრძანება №01-4/ნ - ვებგვერდი, 17.01.2020წ.*

6. თუ ამხანაგობის მიერ მითითებულ მისამართზე რეგისტრირებული დევნილი ოჯახების რაოდენობა, როგორც წესი, ამ ობიექტში მაცხოვრებელ პირთა ნახევარზე მეტია, დეპარტამენტი ამზადებს დასკვნას ამხანაგობის წილის სრულად თანადაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ და მოხსენებითი ბარათით მიმართავს სააგენტოს ხელმძღვანელს ან ხელმძღვანელობის მიერ უფლებამოსილ შესაბამის თანამდებობის პირს, თანხმობის მისაღებად.

7. თანხმობის შემთხვევაში, დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი და თანდართული დოკუმენტაცია (ამხანაგობის თავმჯდომარის განცხადება, ამ წესის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება), ეგზავნება სააგენტოს იურიდიულ დეპარტამენტს, რომელიც ამზადებს ადმინისტრაციული დაპირების პროექტს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და ხელმოწერისათვის წარუდგენს სააგენტოს ხელმძღვანელს ან ხელმძღვანელობის მიერ უფლებამოსილ შესაბამის თანამდებობის პირს.

8. სააგენტო, ადმინისტრაციულ დაპირების გაცემისას, მასში მითითებულ თანადაფინანსების წილს ანაზღაურებს მას შემდეგ, როდესაც სააგენტოში წარმოდგენილი იქნება:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – შესაბამისი რაიონის გამგეობის წერილი, ამავე რაიონის გამგებლის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების დადასტურების თაობაზე;

ბ) სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია:

ბ.ა) მეწარმე სუბიექტთან/მიმწოდებელთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება;

ბ.ბ) ხელშეკრულების პირობების შესრულების თაობაზე მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ.გ) მერიის მიერ ფინანსური ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.დ) მეწარმე სუბიექტის/მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტები).

9. ამ წესის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, სააგენტოში წარმოდგენის შემდგომ, დეპარტამენტი განიხილავს და სათანადო დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, მოხსენებითი ბარათით მიმართავს სააგენტოს დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ სააგენტოს თანამდებობის პირს ანაზღაურების მიზანშეწონილობის თაობაზე, რომლის თანხმობის შემთხვევაში, დოკუმენტაცია ანაზღაურებისთვის გადაეგზავნება სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს.

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის ბრძანება №01-4/ნ - ვებგვერდი, 17.01.2020წ.*

